საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/109

10 მაისი, 2022 წელი ქ. ბათუმი

ბსუ-ში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისთვის სამეცნიერო ნახატების კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ'' საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ღონისძიების ,,საზღვაო ქვეყნის ლურჯი პოლიტიკა" 2022 წლის ივლისში გამართვის თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2022 წლის 15 თებერვლის N148077 წერილის, სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსის, თამარ მაჭუტაძის 2022 წლის 19 აპრილის №403898 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „ბსუ-ში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისთვის სამეცნიერო ნახატების კონკურსის ჩატარების წესი" წინამდებარე ბრძანებაზე თანდართული რედაქციით (დანართი №1)

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი მერაბ ხალვაში

„ბსუ-ში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისთვის სამეცნიერო ნახატების კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 10 მაისის N01-02/109 ბრძანების

დანართი 1.

ბსუ-ში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისთვის სამეცნიერო ნახატების კონკურსის ჩატარების წესი

1. აღნიშნული წესი არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდეგში - ბსუ) სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტთან (შემდეგში - ხელოვნების უნივერსიტეტი) თანამშრომლობით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეების სამეცნიერო ნახატების კონკურსის (შემდგომში - „კონკურსი“) ჩატარების პროცედურებს.

2. ნახატი უნდა ეხებოდეს საზღვაო თემატიკასთან დაკავშირებულ სამეცნიერო საკითხებს (ბიომრავალფეროვნება, ეკოსისტემა, საზღვაო ინფრასტრუქტურა, სანაპირო ზოლის რეგიონის კულტურა, ზღვის კვლევები და ა.შ.).

3. კონკურსის მიზანია ხელოვნების მოყვარულებს და ახალგაზრდა მხატვრებს მისცეს საშუალება ზღვასთან დაკავშირებული სამეცნიერო აღმოჩენები, ტექნოლოგიური მიღწევები და სხვა მეცნიერული მოვლენები სახვითი ხელოვნების ნიმუშებში აღბეჭდონ.

4. კონკურსის მისიაა მოსწავლეებს შეუქმნას შესაძლებლობა შემოქმედებითად გამოხატონ ის, რასაც აკვირდებიან მეცნიერები, რაც შეუქმნია მეცნიერებას და რაც მომავალში შესაძლებელი იქნება სამეცნიერო კვლევების და აღმოჩენების შედეგად მიიღოს კაცობრიობამ.

5. კონკურში მონაწილეობის უფლება აქვთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნებისმიერი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საბაზო და საშუალო საფეხურის - VII, VIII, IX, X, XI და XII კლასების მოსწავლეებს.

6. კონკურსში მონაწილეობისათვის მოსწავლემ უნდა წარმოადგინოს:

   ა) კონკურსში მონაწილის განაცხადი (შედგენილი წინამდებარე წესის **ფორმა** N1-ის შესაბამისად);

   ბ) კონკურსში მონაწილის მხატვრული ნამუშევარი;

7. კონკურსანტმა კონკურსში მონაწილეობის განაცხადი (ფორმა N1) და მხატვრული ნამუშევარი (თავდაპირველად ფოტოს სახით) უნდა წარმოადგინოს ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე: competition@bsu.edu.ge

8. თითოეულ კონკურსანტს უფლება აქვს კონკურსზე წარმოადგინოს მხოლოდ 1 ნამუშევარი, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) ნახატი უნდა იყოს კონკურსანტის ორიგინალური ნამუშევარი, რომელიც ჯერ არ გამოფენილა;

ბ) ნახატი უნდა იყოს თემატურად ზღვასთან და მეცნიერებასთან კავშირში (საკონკურსო ნახატის შექმნა შთაგონებული უნდა იყოს ზღვასთან დაკავშირებული რაიმე სამეცნიერო აღმოჩენის, ტექნოლოგიური გარღვევის, ინოვაციური გამოგონების, სამეცნიერო ჰიპოთეზის, სამეცნიერო ფენომენის და გამორჩეული კვლევის პროცესით);

გ) საკონკურსო ნამუშევარს/ნახატს თან უნდა ახლდეს აღწერილობა იმის შესახებ, თუ როგორ არის დაკავშირებული ნამუშევარი/ნახატი საზღვაო მეცნიერებასთან (აღწერილობა შეიძლება შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: ზღვასთან დაკავშირებული რომელი სამეცნიერო აღმოჩენა, ტექნოლოგიური გარღვევა, ინოვაციური გამოგონება, სამეცნიერო ჰიპოთეზა, სამეცნიერო ფენომენი და გამორჩეული მეცნიერის/გამომგონებლის მოღვაწეობა დაედო საფუძვლად კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ ნამუშევარს (სიტყვათა რეკომენდებული რაოდენობა - არაუმეტეს 300 სიტყვისა)).

გ) მისაღებია სახვითი ხელოვნების ნებისმიერი მიმდინარეობა, თუმცა უპირატესობა მიენიჭება ინოვაციური მიდგომის გამოყენების ამსახველ ნამუშევრებს.

9. საკონკურსო დოკუმენტები (საკონკურსო განაცხადი, მხატვრული ნამუშევარი, ნახატის აღწერილობა) წარმოდგენილი უნდა იყოს კონკურსის გამოცხადების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში.

10. წარმოდგენილი განაცხადები და დოკუმენტაცია შესაფასებლად გადაეცემა ბსუ-ს რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ჟიურის წევრებს (არანაკლებ 3 წევრი).

11. ჟიურს უფლება აქვს:

ა) თემასთან შეუსაბამო ნამუშევარი მოხსნას კონკურსიდან;

ბ) კონკურსანტისაგან მოითხოვოს ნამუშევრის მატერიალური სახით წარმოდგენა;

გ) საკონკურსო ნამუშევრებისათვის გამოიყენოს შემდეგი **შეფასების კრიტერიუმები:**

N	კრიტერიუმი	შეფასება (1-5 ქულის ჩათვლით)
1	ორიგინალობა	მინიმუმ -1, მაქსიმუმ - 5 ქულა
2	ინფორმაციულობა, შინაარსი	მინიმუმ -1, მაქსიმუმ - 5 ქულა
3	შემოქმედებითი ხედვა	მინიმუმ -1, მაქსიმუმ - 5 ქულა
4	მხატვრული და ვიზუალური ეფექტი: ესთეტიკური ხარისხი, ვიზუალური და	მინიმუმ -1, მაქსიმუმ - 5 ქულა

	ემოციური მიმზიდველობა	
	ჯამური ქულა	მინიმუმ - 4, მაქსიმუმ - 20 ქულა
	შენიშვნა: თითოეული კრიტერიუმი ფასდება 5-ქულიანი სისტემით და ქულა განიმარტება შემდეგნაირად: 1 - შეუსაბამო; 2 - სუსტი; 3 - დამაკმაყოფილებელი; 4 - კარგი; 5 - გამორჩეული.	

12. ნამუშევრების შეფასების საფუძველზე ჟიური ადგენს რანჟირებულ სიას და გამოავლენს 10 საუკეთესო ნამუშევარს (გამარჯვებული კონკურსანტები).

13. კონკურსში მონაწილე თითოეულ მოსწავლეს გადაეცემა კონკურსში მონაწილის სიგელი.

14. კონკურსში გამარჯვებულ 10 საუკეთესო ნამუშევარს (კონკურსანტებს) ასევე გადაეცემა ფულადი პრიზები:

14.1. პირველი, მე-2 და მე-3 ადგილზე გასულ კონკურსანტებს:

ა) პირველი ადგილზე - 500 ლარი;

ბ) მეორე ადგილზე - 300 ლარი;

გ) მესამე ადგილი: 200 ლარი.

14.2. მე-4-მე-10 ადგილებზე გასულ თითოეულ კონკურსანტს - 100 ლარი.

15. ჟიურის მიერ გამოვლენილი 10 საუკეთესო ნამუშევარის ავტორები (გამარჯვებული კონკურსანტები) ვალდებულნი არიან, საჭიროების შემთხვევაში, მათი მხატვრული ნამუშევრები წარმოადგინონ მატერიალური სახით ბსუ-ში, სამეცნიერო-საგანმანათლებლო ღონისძიების „საზღვაო ქვეყნის ლურჯი პოლიტიკა“ ან/და წინამდებარე წესთან თავსებადი სხვა ღონისძიების ფარგლებში გამართულ ფესტივალზე გამოფენის მიზნით.

16. კონკურსში გამარჯვებულმა მოსწავლემ კანონმდებლობით დადგენილი წესით უარი უნდა თქვას ნებისმიერ საავტორო თუ მომიჯნავე უფლებაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასევე ამ უფლებებიდან გამომდინარე ნებისმიერ უფლებასა თუ მოთხოვნაზე, ბსუ-სა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერების პოპულარიზაციის პროგრამის სასარგებლოდ.

17. სამეცნიერო თემატიკაზე ნახატების კონკურსის ადმინისტრირება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მეცნიერების პოპულარიზაციის პროგრამის ფარგლებში, სამინისტროს მხარდაჭერითა და მონაწილეობით.

ბსუ-ში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისთვის სამეცნიერო ნახატების კონკურსის ჩატარების წესის

ფორმა N1

კონკურსში მონაწილეობის განაცხადი

ვეთანხმები კონკურის პირობებს და წარმოგიდგენთ განცხადებას კონკურსში მონაწილეობის შესახებ. ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი ნამუშევარი შექმნილია ჩემ მიერ. კონკურსში ჩემ მიერ წარმოდგენილი ნამუშევრის გამარჯვების შემთხვევაში, უარს ვამბობ ნებისმიერ საავტორო თუ მომიჯნავე უფლებაზე, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ასევე ამ უფლებებიდან გამომდინარე ნებისმიერ უფლებასა თუ მოთხოვნაზე. თანახმა ვარ, რომ ჩემ მიერ წარმოდგენილი ნამუშევარი გამოყენებული იყოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მეცნიერების პოპულარიზაციისა და კომუნიკაციის მიზნებისათვის, ავტორის ვინაობის მითითებით. ვაცნობიერებ, რომ რაიმე სიყალბის აღმოჩენის შემთხვევაში, ჩემი ნამუშევარი მოიხსნება კონკურსიდან.

ინფორმაცია კონკურსში მონაწილის შესახებ

ნამუშევრის ავტორი	
სახელი და გვარი	
დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	
გენდერი (მონიშნეთ ერთ-ერთი)	☐ ქალი ☐ვაჟი
მისამართი	
ელ. ფოსტის მისამართი	
ტელეფონის ნომერი	

ინფორმაცია ნამუშევრის შესახებ

ნამუშევარი	
სათაური (არაუმეტეს 60 სიმბოლო)	
აღწერილობა (არაუმეტეს 300 სიტყვისა)	

ხელმოწერა

კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერა
(18 წლამდე ასაკის კონკურსანტის შემთხვევაში)